მოცემული პროექტი ითვალისწინებს არქიტექტურული პროექტის დამუშავებას სამშენებლო კომპლექსისათვის, რომელიც აწარმოებს «აპტოს»-ის გაწოვადი და არაგაწოვადი სამედიცინო ნაკეთობებს(ძაფები). პროექტი ეფუძნება დამკვეთის მიერ მიწოდებულ დამტკიცებულ საპროექტო დავალებას.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისი, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ ს/კ 01.19.18.003.044 ნაკვეთის მესაკუთრეა შპს „აპტოს“-ი 202353602.

ობიექტის კაპიტალური მშენებლობისათვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთის დახასიათება

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს სამრეწველო ზონა 2 (ს-2) საპროექტო ტერიტორია 10000 კვ.მეტრია რელიეფი სწორია, საპროექტო ტერიტორიას დასავლეთით და სამხრეთით ესაზღვრება სამანქანო გზები ხოლო ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით კერძო საკუთრებაში არსებული ერთეულები. ტერიტორია სრულყოფილადაა უზრუნველყოფილი სატრანსპორტო კავშირებით, ვინაიდან გააჩნია ახლო კავშირი კახეთის გზატკეცილთან, სატრანსპორტო ნაკადები მოცემულ უბანზე მინიმალურია, დაგეგმილი პროექტის ფუნქციიდან და მოცულობიდან გამომდინარე არ არის მოსალოდნელი პიკის საათში სატრანსპორტო ნაკადების ზრდა.

არსებული ტერიტორია განთავსებულია ღია ადგილას, რომელიც თავისუფალია შენობება-ნაგებობებისაგან.

ტერიტორია შემოიღობება და მოხვედრა შესაძლებელი იქნება ორი ჭიშკრის საშუალებით. ტერიტორიაზე განთავსდება ერთი მთავარი ორსართულიანი შენობა და დამხმარე ერთსართულიანი შენობები (დაცვის ჯიხური, საქვაბე და სხვა.), ასევე მოწყობილი იქნება ავტოსადგომი.

ძირითად საპროექტო ადმინისტრაციულ-საწარმოო შენობაში დამზადდება სამედიცინო ნაკეთობები (ძაფები).

გეომორფოლოგიურად, საკვლევი ტერიტორია მდებარეობს მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს მიმდებარედ. ბუნებრივ რელიეფს საერთო ჯამში გააჩნია სუსტი ქანობი სამხრეთის მიმართულებით. მიწის აბსოლუტური ნიშნულები მერყეობენ 507.0-დან 508.0-მდე. ტერიტორიის ცენტრალური ნაწილი ტექნოგენურია, რაც გამოწვეულია ნაყარი გრუნტის ნაირსახეობით, რომელიც ამოღებულია ფუნდამენტისათვის განკუთვნილი ქვაბულებიდან. შესაბამისად, მიწის ზედაპირი რელიეფის საერთო ფონიდან ამ ნაწილში აწეულია 4-5 მეტრით და სიმაღლის ნიშნულები იცვლება 509-512 მეტრის ფარგლებში.

ПН 01.05-08 ‹‹სამშენებლო კლიმატოლოგია››-ს შესაბამისად, რაიონის ძირითადი კლიმატური დახასიათებაა (რაიონი ვარკეთილის აღნისნული მეტეოსადგურების მიხედვით) შემდეგი:

- ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი: -24°C;
- აბსოლუტური მაქსიმუმი: 40°C;
- წლის განმავლობასი ნალექების საერთო რაოდენობა: 550 მმ;
- დღეების რაოდენობა თოვლიანი საფარით: 14;
- ქარის ბრძანებითი მიმართულება: ჩრდილო-დასავლეთი;

მიწის ნაკვეთის გეგმარებითი ორგანიზების დასაბუთება

პროექტი განხორციელებულია არსებული გარემოს გათვალისწინებით.

საპროექტო ტერიტორიის სასიამოვნო მიკროკლიმატისა და იერსახის ფორმირების მიზნით, გათვაისწინებულია გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამუშაოები. საპროექტო ტერიტორიი პერიმეტრი შემოსაზღვრულია.

ნაკვეთზე განთავსებულია შემდეგი შენობები და ნაგებობები:

- ადმინისტრაციულ-სამრეწველო შენობა;
- საქვაბე;
- სატრანსფორმატორო ქვესადგური;
- სახანძრო ტუმბო და რეზერვუარი;
- გამწმენდი ნაგებობები;
- საკონტროლო-გასაშვები პოსტი;
- სამომსახურებლო-საყოფაცხოვრებო ნაგებობა;
- მოედანი მომსახურე პერსონალის დასვენებისა და ფიზ. ვარჯისებისათვის;
- ავტოსადგომები (28 ადგილი მუდმივი მოხმარებისათვის);

აღნიშნული პროექტით გათვალისწინებულია ქარხნის მშენებლობა (ზომებით ღერძებში 1-13 63.00 მ და ღერძებში A1-E 36.60მ), რომელიც აწარმოებს გაწოვად და არაგაწოვად სამედიცინო პროდუქტს. გენერალური გეგმის საპროექტო გადაწყვეტილება მიმართულია სახანძრო უსაფრთხოებაზე, კერძოდ:

- აღნიშნული შენობასა და სხვა შენობებს შორის გათვალისწინებული უსაფრთხო მანძილი ხანძრის შემთხვევაში გამორიცხავს ცეცხლის გადასვლას;
- ხანძრის ჩაქრობის დროს სახანძრო ქვეგანაყოფებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა წარმატებული სამუშაოს შესასრულებლად;

მშენებლობის ნაკვეთზე შენობა განლაგებულია იზოლირებულად. ობიექტთან მისასვლა შესაძლებელია არსებული გზებით.

ადმინისტრაციული-საწარმოო შენობის გარშემო გათვალისწინებულია სახანძრო წრიული გზა სიგანით არანაკლებ 3,5 მ, იმის და მიხედვით, რომ შენობის სიმაღლე არ აღემატება 13 მ-ს (п. 8.6 СП 4.13130.2013) СП 42.13330.2011-ის მიხედვით, გათვალისწინებულია მეხანძრეთა მიაწვდომობა სახანძრო კიბეებიდან, ან ავტოამწეებიდან ნებისმიერ სათავსოში.

სახანძრო ავტომობილებისათვის განკუთვნილი სავალი გზა, შიგა კიდედან შენობის კედლებამდე დაშორებულია 5-8 მ, ამ ზონაში არ არის გათვალისწინებული შემოღობვა, ელექტროგადაცემის საჰაერო ხაზები და ხეების მწკვრივში დარგვა, რომელიც ხელს შეუშლის სახანძრო ტექნიკას ხანძრის ჩაქრობაში და სამაშველო სამუშაოების ჩატარებაში (п. 8.8 СП 4.13130.2013).

ნაკვეთზე გათვალისწინებულია ავტოტრანსპორტის ორი შესასვლელ/გამოსასვლელი.

მთავარი შესასვლელი გათვალისწინებულია შენობის ცენტრალურ შესასვლელთან. მეორე ტექნიკური შესასვლელი განკუთვნილია თანამშრომლების ავტოტრანსპორტისათვის, ასევე ნედლეულის მისატანად და მზა პროდუქციის გასატანად. მთავარი გასასვლელის კონტროლისათვის გათვალისწინებულია საკონტროლო-გამშვები პოსტი.

გამოსასვლელის სიგანე გათვალისწინებულია არანაკლები 4,5 მ.

ცნობები ობიექტის კაპიტალური მშენებლობის, ფუნქციონალირი დანიშნულების, წარმოების შემადგენლობის და დახასიათების შესახებ

ტექნოლოგიური გადაწყვეტილება წარმოდგენილია სამშენებლო პროექტის შესათანხმებელ ნაწილში, რომელიც ეხება გაწოვად და არაგაწოვად სამედიცინო პროდუქციის წარმოებას, საწარმოო, საარქივო, ადმინისტრაციული და დამხმარე სათავსოების კომპლექსთან ერთად.

პროექტის შესათანხმებელ ნაწილში მიღებულია და გათვალისწინებულია დამკვეთის მიერ მოწოდებული წარმოების პროგრამა, და მისთვის გათვლილია და შერჩეულია ძირითადი აღჭურვილობა, დამუშავებულია პროცესების ბლოკ-სქემები, დამუშავებულია გეგმარებითი გადაწყვეტილება, შედგენილია სათავსოებისა და აღჭურვილობის ჩამონათვალი. გადაწყვეტილობები დამუშავებულია ბლოკ-დიაგრამებზე ნაჩვენები ტექნოლოგიური ოპერაციების თანმიმდევრობის შესაბამისად.

დაპროექტების ძირითადი ობიექტები, წარმოების სიმძლავრე და მუშაობის რეჟიმი.

დაპროექტების ძირითად ობიექტს წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამრეწველო შენობა.

წარმოების საერთო მოცულობა:

- გამწოვი სამედიცინო ნაკეთობები «Aptos» 150 000 შეფ/год
- არაგამწოვი სამედიცინო ნაკეთობები «Aptos» 150 000 შეფ/год

ტექნიკური დავალების შესაბამისად გათვალისწინებულია საწარმოო, საარქივო, დამხმარე, საინჟინრო-ტექნოლოგიური და ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო შენობების განთავსება. გარე აუდიტის ჩასატარებლად დაპროექტებულია სათვალთვალო დერეფანი პროცესის დასაკვირვებლად, გათვალისწინებულია ცალკე მდებარე სტუმრებისათვის განკუთვნილი ტანსაცმლის კარადები საწარმოოს საკონფერენციო დარბაზისათვის და აუდიტორებისათვის.

ადმინისტრაციულ-სამრეწველო შენობის არქიტექტურული და მოცულობით-გეგმარებითი გადაწყვეტა

მოცულობით-გეგმარებითი გადაწვეტა მიღებულია ობიექტის გენერალური გეგმის პრინციპული სქემის გათვალისწინებით, შენობის მშენებლობის მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური და ფუნქციონლურ-ტექნოლოგიური კავშირებიდან გამომდინარე.

საპროექტო შენობა ორსართულიანია, სარდაფის გარეშე, გეგმაში მართკუთხა ფორმის, ღერძებში 67,0X 36,5 მ ზომებით.

შენობის ცენტრალური შესასვლელი აღჭურვილია პანდუსით უნარშეზღუდული ადამიანებისათვის. რომელიც ორ სინათლიანია (ატრიუმით), გეგმაში ზომებით 27,0X9,6მ.

ძირითადი მოცულობის პარაპეტის ზედა ნაწილის ნიშნული საპროექტო ნულიდან ტოლია +10,80 მ, შენობის მაქსიმალური ნიშნული (კიბის უჯრედის პარაპეტი) +13,20 მ.

პირველი სართულის სიმაღლე 5,4მ (იატაკიდან იატაკამდე), მეორე სართულის სიმაღლე 3,65 მ (გადახუვის ფილის ძირამდე).

სახურავი - ექსპლუატირებადი, ბრტყელი.

ტიხრები დაპროექტებულია თაბაშირმუყაოს ფურცლებისგან, მეტალის კარკასზე С 112-ტიპის მიხედვით (სერია1.031.9-2.07 «კნაუფის კომპლექტური სისტემები»), სუფთა სათავსოების ტიხრები - პანელები სუფთა შენობებისათვის (Block ან მისი ანალოგი).

შენობას წარმოედგენს ერთ სახანძრო სივრცეს.

პირველ სართულზე განთავსებულია საწარმოო სათავსოები, კვების ბლოკი სასადილოთი, ტექნიკური სათავსოები, პროდუქციის დასაწყობებაის სათავსოები და საყოფაცხოვრებო სათავსოები მომუშავე პერსონალისათვის და სტუმრებისათვის, სანკვანძები და სანიტარული კვანძი უნარ-შეზღუდული

პირებისათვის. შესასვლელთა ჯგუფი მიშენებულ ნაწილში (ატრიუმში) გულისხმობს საწარმოო ზონაში მოხვედრას გასახდელი ოთახების გავლით, რომლებიც დაყოფილია ქალებისა და მამაკაცების ნაწილებად და შეიცავს ღია კიბეს, რომელიც აერთიანებს პირველ და მეორე სართულს. ამდაგვარი გეგმარებითი გადაწყვეტა მისაწვდომობის საშუალებას აძლევს ადმინისტრაციულ მუშაკებს, რომლების განთავსებაც გათვალისწინებულია მეორე სართულზე, სამუშაო ადგილების საწარმოო სათავსოების გვერდის ავლით.

პირველი სართულიდან ევაკუაცია განხორციელდება სათავსოებიდან დერეფნებში, რომლებიც უშუალოდ გარეთ და ვესტიბიულში გადის.

არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტა მიღებულია ტექნოლოგიური პროცესების თანახმად. საწარმოო სათავსოები შეიცავს კონტროლირებად და არაკონტროლირებად სისუფთავის D კლასის სათავსოებს. სუფთა სათავსოები გაერთიანებულია უმაღლესი დონის კატეგორიის სახაძრო საფრთხის მქონე სათავსოების ბლოკებში. A, B1, B2 B3 კატეგორიის სათავსოების ბლოკები გამოყოფილია EI45 1-ი ტიპის ხანძარსაწინააღმდეგო ტიხრებით B4, Г და Д კატეგორიის სათავსოებისგან და დერეფნებისგან სართულის მთელ სიმაღლეზე. A კატეგორიის სათავსოებში ადვილად გასაგდები კონსტრუქციების სახით მიღებულია ვიტრაჟული ფანჯრები ფართით არანაკლებ 0,05 მ² მთლიანი შენობის მოცულობიდან გამომდინარე.

შენობის მე-2 სართულზე განთავსებულია ადმინისტრაციული სათავსოები, არქივები, საკონფერენციო დარბაზი, სავენტილაციო დანადგარების სათავსოები და ოფისების ტექნიკური სათავსოები.

სართულებს შორის კავშირი წარმოდგენილია კიბის უჯრდების სდახით, რომლებსაც აგრეთვე გააჩნიათ საევაკუაციო ფუნქცია. კიბის უჯრედები განთავსებულია შენობის კიდეებში და გააჩნია გარეთ გასასვლელები.

მეორე სართულიდან ევაკუაციის განხორციელება შესაძლებელია კორიდორებიდან ორი კიბის უჯრედის Л-1 ტიპის საშუალებით, უშუალოდ გარეთ გასასვლელით და ასევე მეორე Л-2 ტიპის კიბის საშუალებით, რომელიც მდებარეობს ატრიუმში.

შესასვლელთა ჯგუფი თავის მხრივ წარმოადგენს ორსართულიან მოცულობას - ატრიუმს, რომელიც აერთიანებს შენობის საწარმოო (პირველი) და ადმინისტრაციულ (მეორე) სართულებს. შენობის ძირითადი მოცულობისგან ატრიუმი გამოყოფილია შუშის ხანძარსაწინააღმდეგო ტიხრებით (ცეცხლის მედეგობის ზღვრით EIW45), რომელიც უზრუნველყოფს ვიზუალურ კავშირს საწარმოოს განყოფილებასთან (პირველი სართ.), მოლაპარაკებების და საკონფერენციო დარბაზებთან (მეორე სართ.). სართულშუა ვერტიკალური კომუნიკაცია ხორციელდება ღია კიბით, გათვალისწინებულია პანორამული შემინული ლიფტი. მეორე სართულიდან დამხმარე კიბით შესაძლებელია გასვლა ექსპლუატირებად სახურავზე თავისი სადამკვირვებლო მოედნით.

შენობა წარმოადგენს ერთ მთლიან ხანძრისგან დაცულ მოცულობას. ორსინათლიანი ატრიუმ-სივრცე მთლიანი შენობისაგან გამოყოფილია პირველი ტიპის ხანძარსაწინააღმდეგო შუშის ტიხრებით, რომლის ხანძარმედეგობაა EIW45.

მე-2 სართულზე 60 მ-ზე გრძელი კორიდორები დაყოფილია ტიხრებით, რომელთა ხანძარმედეგობაა EI15.

„A" კატეგორიის სათავსოები (№160 „ტექნიკური სათავსო", №162 „ბალონებისათვის განკუთვნილი ტექნიკური სათავსო") მდებარეობს გარე კედელთან და გააჩნია გასასვლელი გარეთ, შენობის სხვა

კატეგორიის შესასვლელი არ არსებობს. სათავსო №226 არის „სავენტილაციო კამერა ადვილადფეთქებადი სათავსოებისთვის“ და განთავსებულია შენობის მეორე სართულზე, სადაც ასევე მდებარეობს სათავსო №225 „ტამბურ-შლუზი“ ჰაერის მუდმივი შენაკადით.

დაჭირხნული ეთილენოქსიდის ბალონების სათავსოში (#162) განთავსების საშუალებას იძლევა სამრეწველო უსაფრთხოების რუსეთის ფედერალური ნორმერბისა და წესების 514 პუნქტის „საწარმოო უსაფრთხოების წესები სახიფათო წარმოების ობიექტებისა, რომლებზეც გამოიყენება ჭარბი წნევის ქვეშ მომუშავე აღჭურვილობა“ (2017 წ 12 დეკემბრის ცვლილებებით).

„514. წვადი აირების ბალონების ჯგუფური დანადგარების განთავსება და ბალონების შენახვა უნდა განხორციელდეს პროექტის და სახანძრო უსაფრთხოების წესების შესაბამისად სპეციალურად აღჭურვილ სათავსოებში ან ღია მოედნებზე, ამასთან დაუშვებელია წვადი აირების ბალონების ჯგუფური დანადგარების განთავსება და ბალონების შენახვა სათავსოში, სადაც ხორციელდება მათში მყოფი წვადი აირის გამოყენების ტექნოლოგიური პროცესი“.

სათავსო #162-ში გათვალისწინებულია სახანძრო უსაფრთხოების შემდეგი ღონისძიებები:

ტექნოლოგიური პროცესები სათავსოში არ მიმდინარეობს, სათავსოს კედლები ხანძარსაწინააღმდეგოა REI 150, დაყენებულია ადვილად ვარდნადი ფანჯრები, დაყენებულია ეთილენოქსიდის აირის ანალიზატორები, დაყენებულია ავარიული ვენტილაცია. ~

ეთილენოქსიდის გაუვნებელყოფა

ნარჩენი ეთილენოქსიდის გაუვნებელყოფის მიზნით სტერილიზატორი დაკავშირებულია ნარჩენი გაზის გაუვნებელყოფის სპეციალურ სამსაფეხურიან სისტემასთან ე.წ. სკრუბერთან (CLEAROX 300), რაც საშუალებას გვაძლევს ეთილენოქსიდის ატმოსფეროში გაფრვევის დასაშვები ნორმა იყოს ევროკავშირის დირექტივის მიერ დადგენილ ზღვრებში, რაც შეადგენს არაუმეტეს 1,8 მგ/მ^3 (1ppm)-ს.
(DIRECTIVE OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL
amending Directive 2004/37/EC on the protection of workers from the risks related to exposure to carcinogens or mutagens at work)

უსაფრთხო სტერილიზატორი და სათავსი

სტერილიზატორი და სათავსი სადაც ფუნქციონირებს სტერილიზატორი დაპროექტებულია უსაფრთხოების დაცვის შემდეგი მექანიზმებით, რაც მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოს ქმნის მასთან მომუშავე პერსონალისთვის:

- ვაკუუმი სტერილიზატორის კამერაში, რაც გამორიცხავს გაზის გაჟონვას სათავსში;
- ინერტული აირის (აზოტის) მიწოდება, რაც გამორიცხავს სტერილიზატორის კამერაში ფეთქებადი ნარევის წარმოქმნის საშიშროებას;
- ეთილენოქსიდის კონცენტრაციის კონტროლი კამერაში (ავარიული სიგნალიზაციის, ვენტილაციისა და ბლოკირებების სისტემა დარღვევის შემთხვევაში)
- პროცესის დისტანციური მართვა;
- ავარიული ვენტილაცია;
- უწყვეტი კვება;
- ხმოვანი და ვიზუალური სიგნალები;
- ეთილენოქსიდის აღმომჩენი დეტექტორები სათავსში;

- დამხმარე სათავსების იზოლირება;
- დაბალი წნევა სათავსში;
- ელექტროკომპონენტების ფეთქებადუსაფრთხო შესრულება;
- გარემო სივრცის მონიტორინგი - TWA, STEL, IDLH, LEL
- გამაფრთხილებელი და ავარიული სიგნალიზაცია;
- სახანძრო სიგნალიზაცია;
- ცეცხლმაქრები;
- ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (ნიღბები, სპეცფორმები);
- პერსონალის სწავლება და მონიტორინგი;
- ევაკუაციის გეგმა;
- დაშვების სისტემა;
- პირველადი სამედიცინო დახმარება.

ეთილენოქსიდის გაზის შენახვა

ეთილენოქსიდი ინახება სპეციალურად მისთვის განკუთვნილ ბალონებში გრილ (დადგენილ ტემპერატურაზე), კარგად ვენტილირებად, ხანძარუსაფრთხო, სხვა ქიმიკატებსა და ნივთირებებსგან თავისუფალ სათავსში. სათავსში არ უნდა არსებობდეს სითბოს გამომყოფი არანარი მოწყობილობა და საგანი, ეთილენოქსიდის რეზერვუარები უნდა იყოს ფოლადის ან ალუმინის, ყველა რეზერვუარი უნდა იყოს იდენტიფიცირებული. საიდენტიფიკაციო საჭდე მოიცავს გაზის დასახელებას, მაქსიმალურ წნევას და ვარგისობის ვადას, ასევე ეთილენოქსიდის შესანახი სათავსი იდენტიფიცირებულია წარწერით „სახიფათოა“ და შეზღუდულია პერსონალის დაშვება.

ადვილად ვარდნადი კონსტრუქციის ფართის ანგარიში

(ერთფავიტრაჟის შემინვა)

№160 „ტექნიკური სათავსო“, კატ. „A“:

ფართი: 19,46 კვ.მ.;

სიმაღლე: 9,05 მ.

საანგარიშო მოცულობა: 19,46x9,05=176,11 კუბ.მ.;

შემინვის საანგარიშო ფართი: 176,11x0,05=8,80 კვ.მ.;

შემინვის არსებული ფართი (მინის ფართობი ვიტრაჟის იმპოსტის გამოკლებით) 5,19x2=10,39 კვ.მ.;

10,39 კვ.მ>8,80 კვ.მ - შემინვის არსებული ფართი უფრო დიდია, ვიდრე საანგარიშო, რაც აკმაყოფილებს მოთხნილებებს.

ვიტრაჟში ერთი შუშის ფართია - 1კვ.მ, შესაბამისად აღნიშნული მინის სისქე უნდა იყოს 4 მმ.

საევაკუაციო გზები

თითოეული შენობა აღჭურვილია საევაკუაციო გასასვლელებით, რომლებიც შეესაბამება ФЗ-123 სტატია 89 п.3. სართულის მთელ სიმაღლეზე ყველა საევაკუაციო გზა შემოღობილია კედლებითა და ტიხრებით. ყველა საევაკუაციო გზის მოპირკეთება და გაფორმება შესრულებულია არაწვადი მასალებისაგან.

შენობის 1-ლი სართულიდან ევაკუაცია ხორციელდება:

- გასავლელით გარეთ;
- კორიდორებიდან გარეთ გასასვლელით;
- კორიდორიდან და ვესტიბიულიდან გარეთ გასასვლელით;
- კორიდორიდან და №1, №2, Л-1 ტიპის მქონე საევაკუაციო კიბის უჯრედებიდან გარეთ გასასვლელით;

შენობის მეორე სართულიდან ევაკუაცია ხორციელდება:

- კორიდორებიდან №1, №2, Л-1 ტიპის კიბისაკენ გარეთ გასასვლელით;
- ვესტიბიულიდან ატრიუმში ღია კიბით გარეთ გასასვლელით;

ევაკუაცია სათვალთვალო მოედნიდან ხორციელდება სახურავის სპეციალურად აღჭურვილი ნაწილიდან, რომელიც მიესადაგება №1, №2, Л-1 ტიპის კიბის უჯრების სახანძრო ნორმების მოთხოვნილებებს (გადახურვის კონსტრუქციის ხანძარმედეგობა REI 45, კლასი K0). სახურავის საესპულატაციო ნაწილის პარაპეტის სიმაღლე - 1,2 მ.

საევაკუაციო გზების სიგრძე შეესაბამება ნორმატიულ მოთხოვნებს. ევაკუაციის გზაზე მდებარე კარების გაღების მიმართულება გათვალისწინებულია შენობიდან გასასვლელების მიმართულებით და არ გააჩნია საკეტები. EI45 ხანძარმედეგობის მქონე 1-ლი ტიპის ტიხრებს უყენებენ იმ კარებებს, რომელთა ხანძარმედეგობის ზღვარია EI30. ევაკუაციის ძირითად გზებზე მდებარე კარების ღიობის სიმაღლეა 2,10 მ, სიგანე - არანაკლებ 1,2 მ. კიბის მარშის სიგანე კი 1,2 მ-ია.
№1, №2 ტიპი Л-1 მქონე კიბის უჯრები თითოეულ სართულზე აღჭურვილია ფანჯრის ღიობებით, რომელთა შემინვის ფართია არანაკლები 1,2 კვ.მ. და გამღები მოწყობილობით სიმაღლით არანაკლებ 1,7 მ იატაკის დონიდან. კიბის უჯრების კარები შესრულებულია მოწყობილობით თვითდაკეტვისათვის და საგმანავით. კიბის მარშისა და ბაქნის მოაჯირები გათვალისწინებულია 1,2 მ სიმაღლით. ღობეებს მოაჯირის დგარების შორის მანძილი გეგმაში შეადგენს 75 მმ. კიბის დახრა 1:2. საფეხურის სიგანე - 0,3 მ, საფეხურის სიმაღლე - 0,15 მ.
ყველა ნაკეთობას, მასალას და აღჭურვილობას, რომელიც გამოიყენება სახანძრო უსაფრთხოებისათვის, გააჩნია სახანძრო უსაფრთხოების სერთიფიკატი.

კონსტრუქციული გადაწყვეტა

შენობის კონსტრუქციული სქემა წარმოადგენს სრულ კარკასს. სვეტები (400X400 მმ), კიბის უჯრედის კედლები (250 მმ), კიბის მარში და საფეხურები დამზადებულია მონოლითური რკინაბეტონისაგან. სვეტების ბიჯი იცვლება 6,0 მ-დან 7,8 მ-მდე. ჩარჩოს ჰორიზონტალური ელემენტები - რ/ბ კოჭები, გადახურვა და საფარი. ფუნდამენტი - ლენტური ჯვარედინი, მისი სიღრმე ანგარიშით განისაზრვრება.

მზიდი კონსტრუქციების გაანგარიშებისას გათვალისწინებულია სამშენებლო ნაკვეთის სეისმოსაშიშროება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის დამატებითი მონაცემების მიხედვით, და ასევე კონსტრუქციების დაპროექტების მშენებლობის რაიონის აღნიშნული ადგილმდებარეობის დამატებითი ნორმები.

შემომზღუდავი კონსტრუქციები შესრულებულია სენდვიჩ-პანელებისაგან მინერალური ბამბის შემავსებლით, შენობის ღიობები - სტრუქტურული შემინვა. შესასვლელი სივრცის შემომზღუდავი კონსტრრუქციები - სტრუქტურული შემინვა. გარე კედლების 900 კუთხით შეერთების ადგილას ვიტრაჟები შესრულებულია ხანძარსაწინააღმდეგო შემავსებლებით REIW90.

გარე კარები - მეტალის, გამათბობლით, შემინული და ყრუ.

ბრტყელი სახურავი არის დათბუნებული, წყლის შიდა გადაყვანის სისტემით, სახურავის ქანობი 1,5-2,7 (4,1) %. სახურავის საფარი პოლივინილქლორიდს მემბრანა. სათვალთვალო მოედნის საფარი და ძირითადი სახურავის გავლით საევაკუაციო გასასვლელი კიბის უჯრედამდე, გადაწყვეტილია, როგორც ესპლუატირებადი სახურავი. სახურავის პარაპეტის სიმაღლე მთელ პერიმეტრზე - 1,0 მ (მასზე მოწყობილი 0,6 მ-ის მოაჯირით), სიმაღლეების ცვლილების ადგილებში დამონტაჟებულია პწკალა კიბეები.

ფასადზე ყველა მეტალის ნაკეთობა - კიბე, მილი და შემოღობვა - იფარება დამცავი ემალის ორი ფენით СП 28.13330.2012 "СНиП 2.03.11-85 სამშენებლო კონსტრუქციების კოროზიისაგან დაცვა“-ს თანახმად და მეტალზე საღებავით იღებება.

საპროექტო შენობის შიდა ტიხრები დამზადებულია თაბაშირმუყაოს ფურცლებისაგან მინერალური ბამბის შემავსებლით, მეტალისკარკასით.

სუფთა ტიხრები - სენდვიც პანელი სუფთა სათავსოებისთვის.

A და B კატეგორიების სათავსოების ტიხრები ამოყვანილია საკედლე ბეტონის ბლოკებით ღესვით.

შიდა მოპირკეთება მიღებულია სათავსოების დანიშნულების მიხედვით და ხანძარსაწინააღმდეგო და ჰიგიენური მოთხოვნილებების შესაბამისად.

მშენებლობის ხანგრძლივობა

მშენებლობის ობიექტის დაახლოებითი ხანგრძლივობა შეადგენს 14 თვეს.

საპროექტო შენობაში უნდა მოეწყოს:

1. შენობა აღიჭურვება NFPA13-ის ან საქართველოში არსებული შესაბამისი სტანდარტის მიხედვით დამონტაჟებული ავტოსაშხეფი სისტემით;

2. კვამლაღმომჩენი სისტემი;

3. ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი სისტემი;

4. აირის აღმომჩენი სისტემი;

5. კვამლის გაწოვის სისტემები;

6. ალტერნატიური ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემებით, კერძოდ: წყლის ხანძარსაქრობი მორწყვის გაზრდილი ინტენსივობის სისტემით, აირის და ფხვნილის ხანძარსაქრობი დანადგარები;

7. არხის კვამლაღმომჩენები განთავსდება კონდიცირების თითოეული სისტემის და ჰაერგამწოვ მთავარ არხებში, ასევე ყველა ასეთი სისტემის მისაერთებელთან;

8. საგანგებო ხმოვანი და ვიზუალური განგაშის საკომუნიკაციო სისტემა;

9. ელექტრომომარაგება და განათება ხანძრის საკონტროლო პოსტისთვის განიავებისა და ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი მოწყობილებები, ლიფტი, გასასვლელი ნიშნები, გასასვლელი საშუალების განათება, ლიფტის კაბინის განათება, საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემები, ცეცხლის ავტომატურად აღმომჩენი სისტემები, სახანძრო განგაშის სისტემები, ელექტროენერგიაზე მომუშავე სახანძრო ტუმბოები (საქაჩები), უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი სათადარიგო ელექტრომომარაგების სისტემებით - დიზელგენერატორის საშუალებით.

პირობითი აღნიშვნები



მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი



კარების თავისუფალი სიგანე

ხანძარმედეგობა(წთ)

კარის თავისუფალი სიმაღლე



დაკავებულობა

ფაეთობი



დაკავებულობის დატვირთვა



შენობიდან გასასვლელი



მისაწვდომი სვლაგეზი



თვ დაკავებულობა



სქ დაკავებულობა



სმ დაკავებულობა



დსშ დაკავებულობა



სწ დაკავებულობა



დს დაკავებულობა

კედლის ცეცხლმედეგობა (ერთსაათიანი)

კედლის ცეცხლმედეგობა (ორსაათიანი)

კედლის ცეცხლმედეგობა (სამსაათიანი)



სახანძრო სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი ჰიდრანტის ჭა



ჭრილის ხაზი



ღერძის ხაზი



ჩრდილოეთის აღმნიშვნელი ნიშანი



ხელის ცეცხლმაქრი



პორტატული ხელის ცეცხლმაქრი



შენობიდან გასასვლელი



შენობიდან გასასვლელის მიმართულების მიმანიშნებელი



წყლის ავტოსაშხეფი სისტემა სტანდარტული პარამეტრებით



წყლის ავტოსაშხეფი სისტემა მორწყვის მომატებული ინტენსიურობით

ავტოსაშხეფი სისტემა აირის



ავტოსაშხეფი სისტემა ფხვნილის



აირის აღმომჩენი სისტემა



ხმოვანი განგაში, ცეცხლაღმომჩენი, კვამლაღმომჩენი



საავარიო განგაშის სისტემა

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი

გამოყენებული წესები - **„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“**

ჩამოთვალეთ შენობის დაკავებულებები და აღწერეთ თითოეული გამოყენება	
1.	საქარხნო-სამრეწველო ჯგუფი **სმ-1** სამეურნეო განყოფილება, მეორადი შეფუთვის და მარკირების ოთახი 0.00 ნიშ-ზე
2.	საქმიანი ჯგუფი **სქ** ატრიუმი, კორიდორი, სასადილოს გამგის კაბინეტი, სამზარეულოს ჭურჭლის სამრეცხაო, მატერიალური შლუზი, დასალაგებელი ინვენტარის და ურიკების მოსამზადებელი ზონა, შესანახი სასტერილიზაციო და საერაციო ოთახი, ოპერატორის ოთახი, თერმო პრინტერის ოთახი,მასალების მისარები და პროდუქციის ჩასატვირთი ოთახი, საწყობის ოფისი, აზოტის საგენერატორო, 0.00 ნიშნულზე. HR-ის განყოფილება, ხელმძღვანელის განყოფილება, სამეცნიერო განყოფილება, შესყიდვების განყოფილება, ფრანჩაიზინგის განყოფილება, მარკეტინგის განყოფილება,მიაღები-მოსაცდელი, სამედიცინო პუნქტი, საპრინტერო, სასერვერო, მორიგე პერსონალის სათავსო, სამეურნეო განყოფილება, კაბინეტები, ბუღალტერია, მოლაპარაკების ოთახი, სახანძრო პოსტი +5.40 ნიშნულზე
3.	თავშეყრის ჯგუფი **თვ-2** სასადილო ოთახი, მოსამზადებელი საამქრო 0.00 ნიშ.
4.	სასაწყობო ჯგუფი **სწ-1** გარდერობი სტუმრებისთვის, მექანიკური სამსახურის საწ., შესაფუთი და მზა ინვენტარის საწ. წუნდებული საქონლის დროებითი შესანახი ადგილი 0.00 ნიშ. არქივი +5.40 ნიშნულზე
5.	სასაწყობო ჯგუფი **სწ-2** სუფთა ინვენტარის შესანახი ადგილი 0.00 ნიშნულზე
6.	დამხმარე და სხვა დანიშნულების ჯგუფი **დს** ჭურჭლის შესანახი და სამრეცხაო, მშრალი პროდუქტების საწყობი, შესაფუთი მასალის შესანახი, საკუჭნაო, სამაცივრე ოთახი, ნარჩენების შესანასი, პურის საჭრელი ოთახი, დამხმარე ოთახი, ნარჩენების შესაგროვებელი სათავსო 0.00 ნიშნუკზე. საკუჭნაო +5.40 ნიშნულზე
7.	დიდი საფრთხის შემცველი **დსშ-2** ტექნიკური სათავსო, ტექნიკური სათავსო ეთილენოქსიდის ბალონებისთვის 0.00 ნიშნულზე
8.	თავშეყრის ჯგუფი **თვ-3** საკონფერენციო დარბაზი +5.40 ნიშნულზე

ექსპლიკაცია:

პირობითი აღნიშვნები:

შენიშვნა:

შ.პ.ს. კუბიკი
L.T.D Cubic

დამკვეთი	შ.პ.ს. აპტოს
მისამართი	ქ. თბილისი, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ ს/კ 01.19.18.003.044

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	მ. სირაძე	
პრ. მთ. არქ.	მ. სირაძე	
დაამუშავა	რიაზანცევა	

პროექტის დასახელება

მასშტაბი	ნახაზის დასახელება
	შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობა. ცხრილი

სტადია	ფურცლის N	ფურცლები	დაკვეთის N
			A3

კონსტრუქციის ტიპი:	
განსაზღვრეთ კონსტრუქციის არსებული შენობისთვის: მაგალითი: II-A, II-B, V-A, V-B	
განსაზღვრეთ კონსტრუქციის ტიპი ახალი შენობისთვის: მაგალითი: II-A, II-B, V-A, V-B	V-A
შერეული კონსტრუქციის შემთხვევაში მიუთითეთ ტიპები, რომელიც გამოყენებული იქნება, განსაზღვრეთ ტიპები და მათი მდებარეობა:	

სიმაღლის შეზღუდვები

ცხრილი 503 -ის მიხედვით

დაკავებულობები	დასაშვები სართულიანობა	შემოთავაზებული სართულიანობა
1. საქარხნო-სამრეწველო ჯგუფი **სმ-1** (0.00 ნიშ.)	**2**	1
2. საქმიანი ჯგუფი **სქ** (0.00, +5.40 ნიშ-ზე)	**3**	2
3. თავშეყრის ჯგუფი **თვ-2** (0.00 ნიშ.)	**2**	1
4. სასაწყობო ჯგუფი **სწ-1** (0.00, +5.40 ნიშ-ზე)	**3**	**2**
5. სასაწყობო ჯგუფი **სწ-2** (0.00 ნიშ.)	**4**	**1**
6. დამხმარე და სხვა დანიშნულების ჯგუფი **დს** (0.00, +5.40 ნიშ-ზე)	**2**	**2**
7. დიდი საფრთხის შემცველი **დსშ-2** (0.00 ნიშ.)	**1**	**1**
8. თავშეყრის ჯგუფი **თვ-3** (+5.40ნიშ.)	**2**	**1**
	დასაშვები სიმაღლე	**შემოთავაზებული სიმაღლე**
შენობის სიმაღლე =	**15.20**	**9.73**
მიწის დონის ზემოთ სართულ(ებ)ის რაოდენობა =		**2**

ექსპლიკაცია:

პირობითი აღნიშვნები:

შენიშვნა:

	შ.პ.ს. კუბიკი L.T.D Cubic
დამკვეთი	შ.პ.ს. აპტოს
მისამართი	ქ. ბათუმი, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ ს/კ 01.19.18.003.044

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	მ. სირაძე	
პრ. მთ. არქ.	მ. სირაძე	
დაამუშავა	რიაზანცევა	

პროექტის დასახელება

მასშტაბი	ნახაზის დასახელება
	შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობა. ცხრილი

სტადია	ფურცლის N	ფურცლები	დაკვეთის N
			A3

ფართობის შეზღუდვები

ცხრილი 503 -ის მიხედვით

დაკავებულობები	დასაშვები ფართობი (სართულზე)	შემოთავაზებული ფართობი (სართულზე)
1. საქარხნო-სამრეწველო ჯგუფი **სმ-1** (±0.00 ნიშ.)	**1300**	**244.97**
2. საქმიანი ჯგუფი **სქ** (±0.00 ნიშ.)	**1670**	**393.36**
3. საქმიანი ჯგუფი **სქ** (+5.40 ნიშ.)	**1670**	**696.9**
4. თავშეყრის ჯგუფი **თვ-2** (±0.00 ნიშ.)	**1070**	**151.22**
5. სასაწყობო ჯგუფი **სწ-1** (±0.00 ნიშ.)	**1300**	**249.76**
6. სასაწყობო ჯგუფი **სწ-1** (+5.40 ნის.)	**1300**	**87.4**
7. სასაწყობო ჯგუფი **სწ-2** (± 0.00 ნიშ.)	**1950**	**16.15**
8. დამხმარე და სხვა დანიშნულების ჯგუფი **დს** (±0.00 ნიშ.)	**840**	**184.81**
9. დამხმარე და სხვა დანიშნულების ჯგუფი **დს** (+5.40 ნიშ.)	**840**	**358.56**
10. დიდი საფრთხის შემცველი **დსშ-2** (±0.00 ნიშ.)	**700**	**29.65**
11. თავშეყრის ჯგუფი **თვ-3** (±0.00 ნიშ.)	**1070**	**116.28**
შემოთავაზებული ფართობების ჯამი =	**2 529. 08**	
სართულების რაოდენობა =	**2**	
შენობის საერთო ფართობი =	**4 060.6**	

ექსპლიკაცია:

პირობითი აღნიშვნები:

შენიშვნა:

	შ.პ.ს. კუბიკი L.T.D Cubic
დამკვეთი	შ.პ.ს. აპტოს
მისამართი	ქ. ობილისი, დასახლება ორხევი, მშენებარე ქარხნის მიმდებარედ ს/კ 01.19.18.003.044

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	მ. სირაძე	
პრ. მთ. არქ.	მ. სირაძე	
დაამუშავა	რიაზანცევა	

პროექტის დასახელება

მასშტაბი	ნახაზის დასახელება
	შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობა. ცხრილი

სტადია	ფურცლის N	ფურცლები	დაკვეთის N
			A3

გარე კედლის ცეცხლმედეგობისა და ღიობისადმი მოთხოვნები

ცხრილების 602-ის და 705.8 -ის მიხედვით

გარე კედელი	ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი (მეტრი)	ცეცხლმედეგობის ხარისხი (საათი)		კედლის ღიობების ფართობი (კედლის %)					
		მოთხოვნილი	გათვალისწინებული	დასაშვები			გათვალისწინებული		
				დაცული	დაუცველი საშხეფებით	დაუცველი	დაცული	დაუცველი საშხეფებით	დაუცველი
ფასადი „1-13“ღერძებში	12.87	0	0	შეუზღუდავია	შეუზღუდავია	შეუზღუდავია			შეუზღუდავია
ფასადი „13-1“ ღერძებში	13.50	0	0	შეუზღუდავია	შეუზღუდავია	შეუზღუდავია			შეუზღუდავია
ფასადი„ ა[1]-ზ“ ღერძებში	12.0	0	0	შეუზღუდავია	შეუზღუდავია	შეუზღუდავია			შეუზღუდავია
ფასადი„ზ-ა[1]“ღერძებში	51.30	0	0	შეუზღუდავია	შეუზღუდავია	შეუზღუდავია			შეუზღუდავია

ექსპლიკაცია:

პირობითი აღნიშვნები:

შენიშვნა:

შ.პ.ს. კუბიკი
L.T.D Cubic

დამკვეთი	შ.პ.ს. აპტოს
მისამართი	ქ. ობილისი, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ ს/კ 01.19.18.003.044

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	მ. სირაძე	
პრ. მთ. არქ.	მ. სირაძე	
დაამუშავა	რიაზანცევა	

პროექტის დასახელება

მასშტაბი	ნახაზის დასახელება
	შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობა. ცხრილი

სტადია	ფურცლის N	ფურცლები	დაკვეთის N
			A3

ხანძრისაგან დაცვის სისტემებისადმი მოთხოვნები							
დაკავებულობები/ სივრცეები/გასასვლელი საშუალებები	ავტოსაშხეფი სისტემა	ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები	სახანძრო განგაშისა, კვამლაღმომჩენი და ცეცხლაღმომჩენი სისტემები	სახანძრო მილდგარების სისტემები	კვამლის საკონტროლო სისტემები	ხელის ცეცხლმაქრები	საავარიო განგაშის სისტემები
საქარხნო-სამრეწველო ჯგუფი სმ-1	კი		კი	-	კი (მექანიკური განიავება)	კი	-
საქმიანი ჯგუფი სქ	კი	კი	კი (აირაღმომჩენი სისტემა)	-	კი (მექანიკური განიავება)	კი	კი
თავშეყრის ჯგუფი თვ-2	კი		კი		კი (მექანიკური განიავება)	კი	
სასაწყობო ჯგუფი სწ-1	კი	კი	კი		კი (მექანიკური განიავება)	კი	
სასაწყობო ჯგუფი სწ-2	კი		კი		კი (მექანიკური განიავება)	კი	

ექსპლიკაცია:

პირობითი აღნიშვნები:

შენიშვნა:

შ.პ.ს. კუბიკი
L.T.D Cubic

დამკვეთი	შ.პ.ს. აპტოს
მისამართი	ქ. თბილისი, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ ს/კ 01.19.18.003.044

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	მ. სირაძე	
პრ. მთ. არქ.	მ. სირაძე	
დაამუშავა	რიაზანცევა	

პროექტის დასახელება

მასშტაბი	ნახაზის დასახელება
	შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობა. ცხრილი

სტადია	ფურცლის N	ფურცლები	დაკვეთის N
			A3

დამხმარე და სხვა დანიშნულების ჯგუფი **დს**	**კი**	**კი**	**კი**		**კი** (მექანიკური განიავება)	**კი**	-
დიდი საფრთხის შემცველი **დსშ-2**	**კი**	**კი**	**კი** (აირაღმომჩენი სისტემა)		**კი** (მექანიკური განიავება)	**კი** (პორტარიული ცეცხლმაქრები)	**კი**
თავშეყრის ჯგუფი **თვ-3**	**კი**		**კი**		**კი** (მექანიკური განიავება)	**კი**	
კიბის უჯრედი					**კი** (მექანიკური განიავებით და დაწნევის სისტემით)		
ლიფტები					**კი** (მექანიკური განიავებით და დაწნევის სისტემით)		
დერეფანი	**კი**		**კი**		**კი** (მექანიკური განიავება)	**კი**	-
ჰაერის კონდიცირების და სავენტილაციო სისტემები			**კი** (არხის კვამლაღმომჩენი)				
სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები				**კი**			
სახანძრო ტუმბოები და წყლის რეზერვუარი (ეზოში განთავსებულ დამხმარე შენობებში)				**კი**			

ექსპლიკაცია:

პირობითი აღნიშვნები:

შენიშვნა:

	შ.პ.ს. კუბიკი L.T.D Cubic
დამკვეთი	შ.პ.ს. აპტოს
მისამართი	ქ. თბილისი, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ ს/კ 01.19.18.003.044

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	მ. სირაძე	
პრ. მთ. არქ.	მ. სირაძე	
დაამუშავა	რიაზანცევა	

პროექტის დასახელება

მასშტაბი	ნახაზის დასახელება
	შენობა-ნაგებობების შსაფრთხოების წესებთან შესაბამისობა. ცხრილი

სტადია	ფურცლის N	ფურცლები	დაკვეთის N
			A3

განიავებისადმი მოთხოვნები		
დაკავებულობები/სივრცეები/გასასვლელი საშუალებები	ბუნებრივი განიავება	ხელოვნური განიავება
საქარხნო-სამრეწველო ჯგუფი სმ-1	-	კი
საქმიანი ჯგუფი სქ	კი	კი
თავშეყრის ჯგუფი თვ-2	კი	კი
სასაწყობო ჯგუფი სწ-1		კი
სასაწყობო ჯგუფი სწ-2		კი
დამხმარე და სხვა დანიშნულების ჯგუფი დს		კი
დიდი საფრთხის შემცველი დსშ-2		კი
თავშეყრის ჯგუფი თვ-3		კი
კიბის უჯრედი	-	კი
ლიფტები	-	კი
დერეფანი	-	კი

ექსპლიკაცია:

პირობითი აღნიშვნები:

შენიშვნა:

შ.პ.ს. კუბიკი
L.T.D Cubic

დამკვეთი	შ.პ.ს. აპტოს
მისამართი	ქ. ობილისი, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ ს/კ 01.19.18.003.044

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	მ. სირაძე	
პრ. მთ. არქ.	მ. სირაძე	
დაამუშავა	რიაზანცევა	

პროექტის დასახელება

მასშტაბი	ნახაზის დასახელება
	შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობა. ცხრილი

სტადია	ფურცლის №	ფურცლები	დაკვეთის №
			A3

თითოეული სართულიდან გასასვლელი საშუალება										
სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	მოთხოვნილი გასასვლელების/გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა	გათვალისწინებული გასასვლელების/გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა და ტიპი	გასასვლელი საშუალებების სიგანე(მეტრი)					
				გზა-კიბეები		დერაფანი,		გასასვლელის გზა-კარი	
				მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
პირველი სართული	სმ-1, სქ, სწ-1, სწ-2, დს, დსშ-2, თვ-2 ს.დ.დ. 198	2	17 გზა-კარი 3 გასასვლელის გზა დერეფანი			1.20	1.50 2.22 2.30	1.64	1.21+1.21+ 3.00+1.41+ 1.0+1.21+ 1.0+(1.41X 6)+0.9+1.2 1+1.0+1.0= 22.70
	1) სმ-1 დ.დ. 26	2	3 გასასვლელთან მისადგომი კარი 3 გზა-კარი					0.82	0.90
	2) სქ დ.დ. 41	14	15 გასასვლელთან მისადგომი კარი 7 გზა-კარი					0.82	0.82
	3) სწ-1 დ.დ. 7	3	5 გასასვლელთან მისადგომი კარი 3 გზა-კარი					0.82	1.10
	4) სწ-2 დ.დ. 1	1	2 გასასვლელთან მისადგომი კარი 3 გზა-კარი					0.82	1.10
	5) დს დ.დ.13	11	8 გასასვლელთან მისადგომი კარი 9 გზა-კარი					0.82	1.21

ექსპლიკაცია:

